



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბას II



აბას II

პაატა-ბეგ გურჯი და სხვ.

აბას II (1633–1666), ირანის შაჰი (1642–66) სეფიანთა დინასტიისა. სეფი I-ის ძე. ცდილობდა განეხორციელებინა აბას I-ის დამპყრობლური გეგმები კახეთის მიმართ. მისი ბრძანებით კახეთში დიდი რაოდენობით ჩაასახლეს მომთაბარე თურქმანები, რამაც გამოიწვია დიდი სახალხო აჯანყება (იხ. კახეთის აჯანყება 1660). ა. II-ის დროს ირანის პოლიტ. და კულტ. სარბიელზე მრავალი ქართვ. მოღვაწეობდა: სპასალარი როსტომ-ხან სააკაძე, მარვის მმართველი ასლან-ხანი, დერუნის ოლქის (ხორასანი) მმართველი ქაიხოსრო-ხანი-როსტომ-ხან სააკაძის დისშვილი, ადამ სულთანი ანდრონიკაშვილი, ისპაანის ტარულა ხოსრო-მირზა (1618–32; 1632–58 ნომინალურად), ტარულას ნაიბები (მოადგილეები); ფარსადან გორგიჯანიძე,

წყარო: მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტი, თარგმ. და შენიშვნები ვ. ფუთურიძისა, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 30;

ლიტ.: ფუთურიძე ვ., ქართველი მოღვაწენი ირანის კულტურულ ასპარეზზე, «ანალები», 1947, [ტ.] 1.

